რუსეთი ვალდებულია 2006 წელს ქვეყნიდან უკანონოდ დეპორტირებულ საქართველოს მოქალაქეებს 164,500 ევრო გადაუხადოს

გამოქვეყნებულია: 26 მარტი, 2019

წარმოიდგინე, რომ ათწლეულზე მეტია გადახვედი და ცხოვრობ სხვა ქვეყანაში, სადაც სამუშაო ვიზა და სამსახური გაქვს. შენი ამჟამინდელი საცხოვრებელი ქვეყნისა და მშობლიური ქვეყნის დიპლომატიური ურთიერთობის გაუარესების გამო უეცრად აღმოაჩენ, რომ დაკავებული, დაჯარიმებული და რამდენიმე დღეში იძულებით გაძევებული - დეპორტირებული ხარ. შენი ცხოვრება თავდაყირა დგება.

ეს ზუსტად ის შემთხვევაა, რაც დაემართა ბევრ ქართველს, რომელიც ცხოვრობდა და მუშაობდა რუსეთში. 2006 წელს, რუსეთსა და საქართველოს შორის დიპლომატიური ურთიერთობის უკიდურესად დაძაბულობამ რუსეთში მცხოვრები ქართველების იდენტიფიცირება, პერსონალური ინფორმაციის შემოწმება, შემდგომში მათი დაკავება, თავისუფლების აღკვეთა და და მშობლიურ ქვეყანაში მასობრივი დეპორტაცია გამოიწვია. ადამიანის უფლებათა ადვოკატირების ევროპული ცენტრი (EHRAC) და არასამთავრობო ორგანიზაცია „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“ (თბილისი) ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში წარმოადგენდნენ საქართველოს თერთმეტი მოქალაქის ინტერესებს. 2016 წლის დეკემბერში, სასამართლომ რუსეთს დააკისრა პასუხისმგებლობა არამხოლოდ განმცხადებელთა ნაწილის კოლექტიური დეპორტაციის გამო, არამედ ასევე დაადგინა, რომ მათი დაკავება და თავისუფლების აღკვეთა წარმოადგენდა თვითნებურ ქმედებას, განმცხადებელთა დაკავების პირობები იყო არაადამიანური და დამამცირებელი და დაკავებულებს არ ჰქონდათ უფლების აღდგენის ადეკვატური მექანიზმი. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ მსგავსი გადაწყვეტილება მიიღო საქართველოს 6 მოქალაქის მიმართაც.

სასამართლოს გადაწყვეტილებით, დღეს რუსეთის ფედერაციას დეპორტირებული 15 ქართველისათვის ჯამში 164,500 ევროს გადახდა დაეკისრა.

„ამ საქმეებში დადგინდა ადამიანის უფლებათა მრავალი დარღვევა, რომლის საფუძველსაც წარმოადგენდა რუსეთის ხელისუფლების მხრიდან მიღებული გადაწყვეტილება საქართველოს მოქალაქეების დაპატიმრებისა და ქვეყნიდან უკანონოდ გაძევების შესახებ. ამ გადაწყვეტილებით სასამართლომ ხაზგასმით აღნიშნა, რომ კოლექტიური გაძევება არასოდეს იქნება გამართლებული ქმედება. სასამართლომ რუსეთის ფედერაციას დააკისრა კომპენსაციის გადახდა განმცხადებლებისათვის მიყენებული ზიანისათვის, რომელიც მათ მიადგათ მისი უკანონო და აღმაშფოთებელი ქმედებების გათვალისწინებით“.

პროფესორი ფილიპ ლიჩი, ადამიანის უფლებათა ადვოკატირების ევროპული ცენტრი (EHRAC) დირექტორი

2016 წლის 20 დეკემბერს ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ სამი გადაწყვეტილება მიიღო 2006 წლის სექტემბრიდან და 2007 წლის იანვრამდე პერიოდში რუსეთის ფედერაციიდან გაძევებულ საქართველოს მოქალაქეებზე: ბერძენიშვილი და სხვები რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ (მათ შორის იყო საქმე ჩოხელი და სხვები რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ) ძიძავა რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ და შიოშვილი და სხვები რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ.

EHRAC და საია ასევე წარმოადგენდნენ განმცხადებლის ინტერესებს საქმეზე „ძიძავა რუსეთის ფედერაციის“ წინააღმდეგ.

სხვა მსგავსი საქმეები

საქმეზე მიღებულ გადაწყვეტილებაში სასამართლომ გაითვალისწინა და დაეყრდნო ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდი პალატის გადაწყვეტილებას საქმეზე საქართველო რუსეთის წინააღმდეგ (I), 31 იანვარი, 2019. სახელმწიფოთაშორის დავაში, რომელიც წარმოადგენდა საქართველოს მთავრობის დავას რუსეთის წინააღმდეგ, ქვეყნიდან 2006 წელს საქართველოს მოქალაქეების კოლექტიური დეპორტაციის. საქმეში რუსეთს დაეკისრა 10 მილიონის ევროს გადახდა მინიმუმ 1500 საქართველოს მოქალაქისათვის, მათ შორის:

- 2,000 ევროს გადახდა დაეკისრა მათთვის, ვინც იყო უცხოელთა კოლექტიური გაძევების მსხვერპლი (კონვენციის მე-4 დამატებითი ოქმის მე-4 მუხლი)
- 10,000 ევროდან 15,000 ევრომდე მერყეობს კომპენსაციის ოდენობა თავისუფლების უფლების დარღვევის მსხვერპლთათვის (მუხლი 5 §1) და არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობას დაქვემდებარებულ განმცხადებლებისათვის (მუხლი 3), დამოკიდებულია თავისუფლების აღკვეთის ხანგრძლივობაზე.

როგორ იყო გაცემული კომპენსაცია ჩოხელის საქმეში?

განმცხადებლების საქმეში კომპენსაციის განსაზღვრის დროს სასამრთლომ იხელმძღვანელა დიდი პალატის მხრიდან სახელმწიფოთაშორის დავებში დადგენილი პრინციპებით. იგი მერყეობდა 10,000 ევროდან 15,000 ევრომდე დაზარალებულებისათვის, რაც დამოკიდებული იყო საქმეში არსებული ფაქტობრივი გარემოებებზე, ამასთანავე, იმ დარღვევებზე, რომელიც დადგინდა 2016 წლის საქმეში.

განმცხადებლის სახელი და გვარი	**2016 წლის დეკემბერში გამოვლენილი დარღვევა**	**თავისუფლების აღკვეთის ხანგრძლივობა**	**კომპენსაციის ოდენობა**
ირინა ჩოხელი	მე-4 დამატებითი ოქმის მე-4 მუხლი მე-3 მუხლი მე-5 მუხლის პირველი და მე-4 პარაგრაფები მე-13 მუხლი	6 დღე	12,500
ლევან და კობა კობაიძეები		17 დღე	15,000 თითოეულ მათგანზე
დავით ლაცაბიძე		5 დღე	12,500
ირინა კალანდია		4 დღე	12,500
კახა ციხისთავი		8 დღე	12,500
კობა ნორაკიძე (გარდაცვლილი, უფლებამონაცვლე ტატო ნორაკიძე)		1 დღე	10,000
ხათუნა ძამამია		6 დღე	12,500